№ 39 თებერვალი 22, ოთხშაბათი 1889 თებერვალი 22, ოთხშაბათი № 39

გაზეთის ფასი

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ტფილისი, 21 თებერვალი

დასავლეთ ევროპის დიდს სახელმწიფოებს რომ კაცმა თვალი დააცქეროს, ყველგან ერთი და იგივე ამბავი დახვდება, საითაც-კი მიიხედევთ, ყველგან ერთი დავიდარაბაა ატეხილი იმაზედ, რომ ეხლანდელი სამინისტროები და სამინისტროების მოთავენი არ გვივარგანო, სახელმწიფო საქმეებს, შინაურს თუ საგარეოს, კარგად ვერ უძღვებიანო, ყოველი ამის გამო სიმძიმე ყოფა-ცხოვრებისა გვემატება და ღამის ილაჯი გაგვიწყდესო. ყველგან, საცა-კი მინისტრებზედ ამისთანა სამდურავი ისმის, მიზეზს ყოველ ამისას სდებენ დღევანდელ პოლიტიკას ევროპისას და რადგანაც ამ პოლიტიკის გამგენი მინისტრები არიან, რა თქმა უნდა, წამალს მინისტრების გადაყენებაში და სხვა ახლების მოწვევაში ჰხედვენ.

საფრანგეთმა ხომ დაითხოვა სამინისტრო ფლოკესი და ახალი სამინისტრო დაიყენა ტირრარის მეთაურობით. დიდი იმედი საქმეთა უკეთესად გარიგებისა არც ამ სამინისტროსი აქვთ. ამიტომაც ამ სამინისტროს დღეგრძელობას არავინ არ უქადის და ჰგონიათ დიდი საქმე იქნებაო, თუ ამ სამინისტრომ თავი დაიჭირა ახალ საერთო არჩევანამდე, ანუ, საქვეყნო გამოფენის გათავებამდეო. ცხადია ეგ სამინისტრო წინადვე ანდერძ-აგებულია და საფრანგეთი ელის სხვა დროს სხვა მინისტრების მოსაწვევად. ამ სახით ითქმის, რომ სამინისტრო კრიზისი დღეს საფრანგეთში დაყურებულია და არა მორჩენილი.

ავსტრი-ვენგრიაში მისცვივნიან მთავარ-მინისტრს ვენგრიისას ტისსას და მისი ჩამოხძანება ჰსურთ სამინისტრო ტახტიდამ. ამაზედ დღეს დიდი დავიდარაბაა ატეხილი ვენგრიაში და დღეს ყველანი ელიან, რომ ტისსას მთავარ-მინისტრობაზედ ხელს აღებინებენ და მის ადგილას სხვას მოიწვევენო. ეს დავიდარაბა იქამდეა გაცხარებული, რომ არამც თუ პარლამენტში, თვით პარლამენტ გარედაც დიდი წინააღმდეგობაა გამართული.

ამავე ყოფაშია იტალიის მთავარ-მინისტრი კრისპი—ეს ტისსასავით თავ-დადებული მომხრე ეგრეთ წოდებულ „სამთა კავშირისა", რომელსაც თ. ბისმარკი შეჰხარის და შეჰნატრის პარტო გერმანიის საკეთილდღეოდ და გამოსაყენებლად. აქაც დღე და დღე ძლიერდება კრისპის მიმართ წინააღმდეგობა, იტალიის პარლამენტის ოპოზიცია თანდათან თანაგრძნობას ჰპოულობს და თვითონ ერიც იტალიისა ხმა მაღლა აცხადებს თავის სამდურავს და უწუნებს კრისპის საქმეთა გამგეობას. აქედამაც ხმები ისმის, რომ იტალიის სამინისტროს ფეხ-ქვეშ მიწა შეერყაო და იქნება ბევრი ხანი არ გავიდეს და კრისპი თავის ტახტიდამ გადმობძანებული ვნახოთ.

მინისტრების ცვლა ავსტრი-ვენგრიასა, იტალიასა და ნამეტნავად საფრანგეთში ახალი ამბავი არ არის. ეგ ხშირად მომხდარა და კვლავაც მოხდება ამ ქვეყნებში. აქ მხოლოდ შესანიშნავი ეს არის, რომ ერთსა და იმავე დროს აუჩნდათ ეს შინაური ტკივილი თვითვეულს ზემოხსენებულს სახელმწიფოს და თუ ყოველივე ეს განსაკუთრებით ყურადღების ღირსია, უფრო ამ მხრით არის ღირსი. საქმე ის არის, რომ ეს ჭირი გერმანიასაც გადაედო, ესე იგი, იქაც გადავიდა, სადაც სადავე სახელმწიფოს საქმეთა გამგეობისა იმისთანა კაცს უჭირავს, როგორც თ. ბისმარკია, აქამდე ყოვლად ხელ-მიუწვდენელი, შეურყეველი და დიდის სახელის მქონებელი როგორც მთელს გერმანიაში, ისეც მთელს ევროპაში. დღეს გერმანიაშიაც თ. ბისმარკის წინააღმდეგად ბევრი ჰლაპარაკობს და იძახიან,—დაჰბერდა და სახელმწიფო საქმეებს ვეღარ გასძღოლია წინანდელის გამჭრიახობით და წინმხედველობითაო. აქაც ჰლამიან თ. ბისმარკის გადაყენებას და მის მოადგილედაც უკვე ასახელებენ გერმანიის მხედრობის მთავარ-შტაბის უფროსს გრაფს ვალდერზეეს, ეხლანდელს იმპერატორის საყვარელს და ძლიერ დაახლოვებულს კაცსა.

რას მოასწავებს ყოველივე ეს? რას ჰნიშნავს ეს ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე მიმართულება და მსვლელობა შინაურთა საქმეთა ოთხს სხვა-და-სხვა ძლიერს სახელმწიფოში, რომელთ ხელშიაც არის დღეს თითქმის ორივე წვერი დასავლეთ ევროპის პოლიტიკის საბლისა? გერმანიაში თ. ბისმარკი, იტალიაში კრისპი, ვენგრიაში ტისსა—ეს სამნი თავ-დადებულნი არიან „სამთა კავშირისათვის", რომელმაც ასეთი ყოფა-მდგომარეობა ევროპისა შეჰქმნა და ასე შეაწუხა ევროპის მკვიდრნი. მამასადამე, გულში რომ ჩავხედოთ ჩვენ მიერ მოხსენებულ ამბებს, დავინახავთ, რომ ამ „სამთა კავშირს" ამ სამს სახელმწიფოში სახელი გაუტყდა, თვითვეულის სახელმწიფოს მკვიდრთა გული აიყარეს დღევანდელს ყოფაზედ და იმედი გადიწყვიტეს, რომ ამ „სამთა კავშირისაგან" რაიმე სიკეთე მოევლინება ევროპას. ამას შემდეგ ცხადია, რომ იმ კაცებს ებრძვიან, იმ მინისტრებს სწუნობენ, რომელთ მეოხებითაც დღეს აქამომდე ეს „კავშირი" არსებობს და ჰბატონობს ევროპაში. და თუ გერმანიაში თ. ბისმარკს, იტალიაში კრისპის და ვენგრიაში ტისსას—ამ სამს ძლიერს მომხრეს „სამთა კავშირისას" აბრუ უტყდებათ თავიანთსავე სახელმწიფოებში, ცხადი ნიშანია, რომ ევროპის ერნი ამ «კავშირის» გაუქმებას ნდომულობენ და ჰსურთ სხვა რიგად დაწყობა ევროპის საქმეებისა, სხვა რიგად ერთმანეთში გასვლა-გამოსვლა და, მამასადამე, სხვა ახალის კაცების აჩენაცა საქმეთა გასაძღოლად.

ჩვენა გვგონია, რომ დღევანდელი ვითარება ევროპისა სწორედ ამისი მომასწავებელია. უეჭველია „სამთა კავშირს" ჭია გასჩენია და ჰღრღნის პირქვე დასამხობლად. ძნელად დასაჯერია, რომ გერმანიასა, ავსტრი-ვენგრიასა და იტალიაში ამისი წინად გრძნობა არ მოქმედებდეს დღეს და თვითვეულს ამ სახელმწიფოში არ იყოს აშლილი წყურვილი, რომ გამოეთხოვონ დღევანდელს ყოფა-მდგომარეობას, „სამთა კავშირისაგან" შექმნილს, და სხვა ახალი სათავე

# ფელეტონი

## ისტორიული მიმოხილვა *)

### VI

მართლიერება (კანონები) საჭირო ჰხდება მაშინ, როდესაც ერი გონებითად გაღვიძებულია, აღებ-მიცემა, მრეწველობა, ურთიერთ-შორისი დამოკიდებულება რთული ჰხდება. დაწერილი კანონები რამდენადაც ვრცელდება ხალხში, რამდენადაც საყოველთაო ჰხდება, იმდენად წესიერებაც, კაცის პიროვნებაც დაცულია, დაფარული უსამართლოებისაგან. საქართველოში ხალხი ადრევე იყო მოწიფული წერილ კანონების შესათვისებლად. ამიტომაც იყო, რომ დიდმა დავითმა (1089—1125 წ.) მოიწვია სამღვდელოთა კრება „საეკკლესიოთა და სამღვდელოთა და საქრისტიანოთა ძიებათათვის". ამ კრებამ 15 მუხლი კანონისა დაადგინა და აღსრულება მათი სავალდებულო ჰქმნა ყოველთათვის. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ამაზე ადრეც საქართველოში ყოფილა „ჟამად ჟამადნი კრებანი" ქრისტიანეთა ცხოვრების მოსამართავ-მოსაწყობად. ამ გვარ კრებად და პირველ დაწერილ ძეგლად მართლიერებისა უნდა ჩავთვალოთ გუჯარი არჩილ მეფისა (არა უგვიანეს 718 წლისა), რომელიც შესდგება ორის მუხლისა და ვრცელ წინასიტყვაობისაგან. წინასიტყვაობაში განიხილება ქართველთ დასახლება და დამკვიდრება საქართველოში, აგრეთვე ისტორია ქრისტიანობის გავრცელებისა. პირველ მუხლში მოყვანილია წესი ზეთის ხარშვა-კურთხევისა და მეორეში—წესი სასახლისა მეფის დაგვირგვინების ჟამს. ამ კანონებს შემდეგ საქართველოში გავრცელდა იოანესაგან თარგმნილი და იმის შვილის ექვთიმესაგან შემუშავებული და დამატებული კანონები [1]). იგი ძეგლი შეიცავს 100 მუხლს და გარდა ამისა ორმოციოდე ცალკე თავს. ყველაშია განმარტებული წესი და რიგი საეკკლესიო მსახურებისა და ქრისტიანულ ცხოვრებისა. ეს ძეგლი დაიწერა ბაგრატ მესამის მეფობაში (980—1008 წ).

ფრიად საინტერესოა მე-53 მუხლი ამ კანონებისა. იგი გვიხატავს მაშინდელს ჩვენს ზნე-ჩვეულებას, და ცრუ მორწმუნეობას. „სჯულის კანონს ეწინააღმდეგებიან ისინი, რომელნიც მისდევენ მისანთა და გრძნეულთა, ლეგეონთა და ასისთავთა... კლანდობენ, შეულოცვენ"...

სიგელნი და გუჯარნი, უეჭველია, არიან მართლიერებისა და უფლების ძეგლნი ანუ ბარათნი. ჩვენის გუჯრების მაგვარი ძეგლი ევროპიის ისტორიაში პირველად ჩნდება მეცხრე საუკუნეში [2]). ჩვენში-კი, თუ ქართლის ცხოვრებას დავუჯერებთ, გურამ მეფისა (570—600) და მირ-არჩილის მეფობაში (663-668 წ.), საცა სწერია: „სიგელი მკვიდრობისა", «გუჯარნი იგი ტყავისანი» ანუ „ესე მოგვითხრობს ჩვენ აღწერილი გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარჩინებულნი, ტომებით და სოფლებით მათით". მაგრამ რადგან უარ-მყოფელებს ქართლის-ცხოვრება არა სწამთ, ამიტომ აქ მოვიყვანთ ცნობებს ორის ძველის გუჯრიდამ, რომელთაგან ერთში მეფე ბაგრატი (1027—1072) არჩევს ოპიზართა და მიჯნაძორელთ დავას მამულების შესახებ და მეორეში დავით აღმაშენებელი (1089—1125) შიო-მღვიმის მონასტერს უდგენს ძმათა საცხოვრებელ წესებს. საინტერესოა თვით საქმის გარჩევის წესი. ბაგრატს მიჯნაძორელებისა და ოპიზართათვის მოუთხოვნია სიმართლის დასამტკიცებელი ოქმნი და საბუთნი. მიჯნაძორელთ წარმოუდგენიათ გუჯარნი მეფეთ-მეფის გურგენისა (980—1008), დავ. კურაპალატისა (876—881) და მეფე გიორგისა (1014—1027), რომელთაც სადაო მამულები მიჯნაძორელებისათვის დაუმტკიცებიათ. ოპიზართ თავის მხრით წარმოუდგენიათ გურამ მამფლის (883 წ.) გუჯარი იმავე მამულების შესახებ. შემდეგ ამისა მეფეს თვის დარბაზში საქმის გასარჩევად მიუწვევია მღვდელ-მთავარნი, ერისთავთ ერისთავნი, ერისთავნი, ყველა აზნაურნი ქვემო და ზემო ხეობათანი და ყველანი საქმის მეცნიერნი. განუხილავთ გუჯარნი, გაუხჭიათ საქმე და გადაუწყვეტიათ სადაო სასარგებლოდ მიჯნაძორელთა. ოპიზართათვის-კი, მათ დასამშვიდებლად, მეფეს მიუბოძებია საკუთარი სოფელი ბარალეთი, რომლის «შემოსავალს ჰკრეფდა ჩვენი მამასახლისი», ე. ი. მეფისა. ეს გარდაწყვეტილება (სიგელი) სავალდებულოა შემდეგშიაც ყველა მეფისათვის, ხალხისათვის... და ყველა მოხელეთა და მოწესეთათვისო.

ამ წერილებით ძეგლიდამ აშკარად სჩანს, რომ ქართველთ სცოდნიათ ფასი უფლებისა, მოწმებისა და წერილების ჩვენებით წესიერებისა და სიმართლის აღდგენა და დაცვა. აგრეთვე სჩანს ისიც, რომ მამულების დასაკუთრება და შემოყორულება არა მტაცობითა და ძლიერებით ჰხდებოდა, არამედ სამეფო ოქმით, მეფის ხელ-წერილით.

მეფე დავითის გუჯარი-კი გვიხატავს მონასტრის უფლებას, ქონება-შეძლებასა და ძმათა შინაურს ცხოვრებას.

ესეთი გახლდათ ცოდნა მართლიერებისა და უფლებისა საქართველოში კლასიკურ დროს, შემდეგში-კი ხომ „ძეგლის-დება" დავით აღმაშენებლისა, „აღბუღას სამართალი", „ძეგლის-წერა" გიორგი ბრწყინვალისა და ვახტანგ მეფის კანონები განსაზღვრავენ ყოველს მხარეს ქართველების საპოლიტიკო და სამოქალაქო ცხოვრებისას.

ჩვენ ჩვენს წერილში დაწვრილებით აღარ შევუდგებით ხსენებულ დაწერილ კანონების განხილვასა და გარკვევას, რადგან ჯერ ერთი, რომ იმათს გარჩევას შესდგომია ამ საქმეში დახელოვნებული იურისტი ბ-ნი ურბნელი და, მეორეც, დღეს ჩვენის საგნისათვის სრულიად საჭირო არ არის, რომ ჩვენის ცხოვრების რომელსამე კერძოზედ დიდხანს შევჩერდეთ. ჩვენი აზრია მხოლოდ შეძლებისადაგვარად მკითხველს გაკვრით თვალ-წინ გავუტაროთ მთელის ჩვენის კულტურის ვითარება და რომელობა. მიუხედავად ამ გარემოებისა მაინც აქ საჭიროდ ვსთვლი ორიოდე სიტყვა ვსთქვა დავით აღმაშენებლის „ძეგლის-წერის" შესახებ.

პირველი მუხლი ამ წესდებისა ამბობს, რომ ეპისკოპოსნი არა-ღირსებით შემოსილნი პატივსა მღვდელ-მთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს პირველის მწყემსთ-მთავრისანი განვკვეთენითო; შემდეგ მეორე მუხლი: ამიერიდგან: ეპისკოპოსი 35 წლისა, მღვდელი—30 წ., დიაკვანი 25 წ. ხელ-დასხმულ იქმნებოდიანო; მესამე მუხლი: „ხელთ-დამსხმელნი ხელთ-დასხმადთაგან ნუმცა მიიღებენ ნუცა ქრთამსა, ნუცა ძღვენსა, ნუცა ევლოგიასა, ნუცა კათოლიკოსი ეპისკოპოსთაგან, გინა ხუცეს-დიაკონთაგან და მღვდელთა და ქორ-ეპისკოპოსთაგან, ნუცა ეპისკოპოსი დიაკონთაგან, ნუცა..."

ამ კანონებიდამ სჩანს, რომ ჩვენის ეკკლესიის გამგეობა სანატრელ მდგომარეობაში არა ყოფილა დავითის წინა დროს. არამედ ყოფილან ეპისკოპოსნი არა ღირსებით შემოსილნი პატივსა მღვდელ-მთავრობისასა, ხშირად მცირე-წლოვანნიც, მოქრთამენიც გამხდარან მსახურად ღვთის ტაძრისა. და ეს უწესოება დავითს, თანამედროვე სამღვდელოთა დასის უკეთეს წარმომადგენელთა დახმარებით, მოუსპია, უღირსნი განუკვეთია

*) იხ. „ივერია", № 38.

[1]) ამ სიტყვას ჰხმარობს თვით ავტორი.

[2]) Средніе Вѣка, ლიტტრესი.

გაუკეთონ საქმეთა მდინარეობას, ამისათვის რა თქმა უნდა საჭიროდ გაუხდათ „სამთა კავშირის“ მომხრენი მოიშორონ თავიდამ და მათ მაგიერ მინისტრებად დაიყენონ იმისთანები, რომელნიც ამ ახალს ვითარებას შესაფერად გაუძღვებიან.

უყველაფერს ამაში შესანიშნავი ის არის, რომ ვენგრიაში ტისსას, იტალიაში კრისპის ხშირად აგონებენ და აყვედრიან, რომ ზურგი რად შეაქციეთ საფრანგეთსა და რატომ ეგრე ნალოსავით ასთრევიხართ თ. ბისმარკსაო. ეგ «სამთა კავშირი», რომლითაც შეგკრათ და შეგბოჭათ თ. ბისმარკმა, გახურებული თონეა, საცა პური მარტო გერმანიისათვის ცხვება ჩვენის ხელითა და ამაგითა და რად გვიშვრებით იმისთანა საქმესა, რომ შინ შვილები გიტირიან და გარედ-კი ტაბლა გაგაქვთო. ამ გვარი სამდურავი დღეს იტალიაში ძლიერია და ავსტრი-ვენგრიაშიაც ფეხს იკიდებს და ავალას იკეთებს. არავინ იცის,—იქნება «მასაც მოვესწრათ, რომ გულ-შემატკივრობა ზოგიერთის ევროპის სახელმწიფოსი, ეხლა გერმანიისაკენ ცოტად თუ ბევრად მიდრეკილი, კვლავ დაუბრუნდეს საფრანგეთსა და ამით საფრანგეთმა ხმა და ძალი მოიმატოს ევროპაში. მაშინ ვერაფერი ძლე დაუდგება გერმანიას და ამ დღის მოლოდინში იქნება თ. ბისმარკს უღონობა შესწამეს, რომ ველარ მოახერხებს ეს დღე თავიდამ აგვაცილოსო და ამიტომაც მის სამაგიეროდ სხვა კაცის მოწვევისათვის დღეს ხმა დასძრეს და ლაპარაკი ასტეხეს.

ესეა თუ ისე, ჩვენ მიერ შენიშნულ მოძრაობისაგან აშკარადა სჩანს, რომ ხანა „სამთა კავშირის“ ბატონობისა ევროპაში ჰქვდება და ილევა და მის სამაგიეროდ ახალს სხვა ხანას ევროპის პოლიტიკისას კარი ეღება. დღეს ყველანი იმის ცდაში არიან, რომ ამ ახალს ხანას ახალნი კაცნი შეურჩიონ და ამ ახალ კაცთა შერჩევაში ჰხედვენ წამალს დღევანდელის სატკივარისას. ჩვენის ფიქრით, სხვა აზრი და საბუთი არა აქვს იმ მოძრაობას, რომელიც შენიშნულია დღეს გერმანიასა, საფრანგეთსა, იტალიასა და ავსტრი-ვენგრიაში.

## ახალი ამბავი

⁂ ამას წინად მოვიხსენეთ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელეთა შვილებისათვის ორ-კლასიანი სასწავლებელი უნდა გამართულიყო ტფილისში, მაგრამ სხვა-და-სხვა გარემოებამ დააბრკოლა ეს საქმეო. ეხლა ნამდვილად შევიტყეთ, რომ ეს სკოლა უკვე დაარსებულა და სწავლა კიდეც დაუწყიათ. ამ სკოლის მასწავლებლად დანიშნულია ბ-ნი ი. ცისკარაშვილი. რკინის გზის მმართველობა დიდად ეხმარება ამ სკოლას, რომელსაც სამრეწველო სკოლის ხასიათი აქვს და რომლის დაარსების აზრიცა და მეცადინეობაც რკინის გზის მღვდლის მამა იროდიონ ნანაბოვის საქმე იყო. სასურველია, რომ რკინის გზის მმართველობამ სკოლასთან თავ-შესაფარიც დაარსოს იმ მოხელეთა ყმაწვილებისათვის, რომელნიც ტფილისიდამ მოშორებით ჰმსახურობენ რკინის გზაზე და არ შეუძლიანთ თავიანთს შვილებს ასწავლონ სადმე სკოლაში.

⁂ მთავარ-მართებელი თავადი ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი პეტერბურგიდგან 11 თებერვალს წასულა თავისს პსკოვის მამულში. მისს ბრწყინვალებას თან ახლავს ორი საგანგებო საქმეთა მოხელე: მ. ნ. პოლიაკოვი და მ. პ. გაკკელი.

⁂ ტფილისის ქალაქის თავი ა. ს. მატინოვი, რომელიც წარსულის წლის ნოემბერში წავიდა პეტერბურგს ზოგიერთ საქალაქო საქმეთა საშუამდგომლოდ, კიდევ ორს თვეს დარჩება თურმე იქა.

⁂ სოფელს მარანაში, გორს ზემოდ, პატარა ლიახვის ხეობაზე, საზარელი კაცის კვლა მომხდარა. გლეხებს სომხიშვილებს მოუკლავთ კეტით მარანელი მცხოვრებელი აზ. გიგა გაბრიელის ძე ტატიშვილი. ამბობენ, ამ კაცის მოკვლის მიზეზი ისა ყოფილა, რომ მოკლულს სამი მანათი ჰმართებია ზემოხსენებულის გლეხებისა და, რაკი ვერ მიუცია სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, გლეხები დასცემიან საღამოს 18 თებერვალს, დაუციათ კეტები და იქვე სული გაუფრთხობინებიათ.

⁂ პიატიგორსკი: აქაურის წყლების ზედამხედველი გამოსცვალა მთავრობამ და იმის მაგიერ დანიშნა ბ-ნი შჩ—კი, კაცი დიად ნასწავლი და გაგებული. ამას გარდა აქაურის ქალაქის თავის თანაშემწედ არჩეულ იქმნა ქართველი კაცი, ბ-ნი გ. მახათაძე, რომელიც 25 წელიწადია პიატიგორსკში სცხოვრობს, აქაური მემამულეა და ამასთანავე ყველასაგან პატივცემული. ამბობენ, რომ მთავრობისაგან გადაწყვეტილია პიატიგორსკამდე რკინის გზის შტო იქმნას გამოყვანილი. არა თუ პიატიგორსკამდე, არამედ კისლოვოდსკამდისა და ესენტუკამდინაც. რკინის გზის შტო წამოვა სადგომიდამ: Минеральныя воды. ეს ამბავი ძალიან ახარებს აქაურებს და გასახარელიც არის არა მარტო აქაურებისათვის, არამედ იმათთვისაც, ვინც აქაურს წყლებზე მოდის საზაფხულოდ და სამკურნალოდ.

⁂ სოფელს ქარელში ამას წინად მისულან ვიღაც მატყუარა თათრები და უთქვამთ, რომ ზნედით შეპყრობილებს ვარჩენთო. რამდენიმე გლეხი გაუბრიყვებიათ, დაუტყუებიათ ერთი თუმანი ფული და მერე სოფელს რუისში წასულან. როცა გლეხები მიხვედრილან, რომ თათრებმა მოგვატყუესო, მოუწოდებიათ რუისიდამ ისევ ქარელში, უცემიათ ბევრი და მერე მამასახლისის შემწეობით გაკავებულები გაუგზავნიათ გორში მაზრის უფროსთან.

⁂ გაზეთი „მეურნე“ ამბობს, რომ ერთს ახალგაზდა ნასწავლს კაცს განუზრახავს ლექციები წაიკითხოს თელავში ქართულად მილდიუსა და იმის წამლობის შესახებაო. იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ ბ-ნ ნ. ა—ლს განუკარგებია ჩვენებური გუთანი და კევრი და უნდა ეს გუთანი და კევრი ტფილისის მომავალ სამეურნეო გამოფენაზე წარუდგინოს ამ გამოფენის კომიტეტს.

⁂ გაზ. „ახალ მიმოხილვის“ სიტყვით, სახელმწიფო ქონებათა მინისტრისაგან უკვე მიუღიათ ტფილისში წერილი კავკასიის გამოფენის პროგრამისა და წესთა დამტკიცების შესახებ. ამ ჟამად ეს წესები და პროგრამა უკვე დაბეჭდილია და ეგზავნება სხვა-და-სხვა დაწესებულებას სოფლის მკვიდრთა შორის გასავრცელებლად. მსურველთ შეუძლიან მიიღონ წესდება და პროგრამაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში. სახელმწიფო ქონებათა მინისტრი პროგრამისა და წესების დამტკიცებასთან ერთად აუწყებს კომიტეტს გამოფენისას, რომ მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისაგან ნება ექმნება ნაბოძები მთავარ-მართებელს თავის მიხედვით დააჯილდოვოს თვალსაჩინო ექსპონენტები კავკასიის გამოფენისა ოქროს და ვერცხლის მენდლებითაო.

⁂ ს. წინამძღვრიანთ-სამეურნეო სკოლის კრება გულითადს მადლობას უცხადებს დავით ზაქარიას ძეს სარაჯოვს არყის გამოსახდელ სპილენძის ზარფუშის შემოწირვისათვის, თ. ლევან გ. ჯანდიერს, კნ. სილომე ჯანდიერისას, ლიზა თაბუნიძისას, თ. ა. ნ. ჭავჭავაძეს, ექიმს დ. ნაუმენკოს, ა. ვაჩნაძეს, თ. ი. ვაჩნაძეს, თ. მ. ერისთავს, ლ. ყარალაშვილს, თ. ე. ს. ჯანდიერს, გ. ზ. ანდრონიკაშვილს, გ. ხითარაშვილს, მღ. ი. კოშორიძეს, მღ. ი. ლაშხაურს, მღ. ვ. როსტომაშვილს, დ. ვ. როსტომაშვილს, იორამაშვილს, დ. ვ. ხიზანაშვილს, გ. ხ. ნამორაძეს, გ. დ. ხოჯიაშვილს, თ. ნ. ჯლუთიშვილს, ზემო თიონეთის სოფ. მამასახლისს, იმის ნაცვალს კოხტაშვილს, ნ. დ. სირაძეს, გ. შ. თურქაძეს, გ. ფიცხელაურს, ლ. თურქაძეს, ზ. ბაიაშვილს, კ. ა. ჭავჭაძეს, ცანავას, დოლიაშვილს და დ. პ. თაბუნიძეს სამის თუმნის და რვა მანეთის შემოწირვისათვის სასარგებლოდ სკოლისა.

⁂ 1-ლის პოლიციის ნაწილის ბოქაულის სვიმონოვისა და პოლიციელის ხელაევის მიერ გამოძიებიდგან აღმოჩნდა, რომ 6 თებერვალს მოკლულ გაბო აბოვიანცის მკვლელები ყოფილან: თედო მაისურაძე და იოსებ რეანოვი, რომელნიც ამ საქმისათვის მოუსყიდნია ვიღაც იაგორ დავიდოვს ოთხ თუმნად. დამნაშავენი დააპატიმრეს და გადასცეს 1-ლის ნაწილის გამომძიებელს.

⁂ 16 თებერვალს პოლიციის მე-8 ნაწილში გლეხმა პენზენის გუბერნიისამ ე. ჩ—მ ამოაცალა ჯიბიდგან მანგლისის გლეხს კუზმა ჩიგუტოვს 8 მანეთი ძილის დროს. დამნაშავე შეიპყრეს.

⁂ 19 თებერვალს მე-7 ნაწილში არუთინ ვასპაროვის სახლთან იპოვნეს მიგდე-

---

მღვდელობიდამ და მღვდელ-მთავრობიდამ. ეს ძეგლის-წერა დადგინდა 1103 წელს.

აქ ზოგიერთნი იკითხავენ: თუ ქებულს გაერთიანებულს საქართველოში, იმ დროს, რომელიც ითვლება ქართველთ ოქროს საუკუნედ, სამღვდელოება ისე დაქვეითებული ყოფილა, რომ მოქრთამენი, არა ღირსეულნი, მცირე-წლოვანნი და სხვ. ადგილებსა და წმინდა ხარისხს ჰყიდულობდნენო, მაშ რაოდენად დაცემული უნდა ყოფილიყო გამგეობა ეკკლესიისა წინა საუკუნოებში, როდესაც საქართველო ისევ სუსტი სახელმწიფო იყოვო.

ეს საკითხავი სამართლიანი იქნებოდა, თუ ამ შემთხვევაში გავშინჯავდით მარტო საქართველოს ეკკლესიას დამოუკიდებლად გარეშე ეკკლესიათა და უცხო ქვეყნების ქრისტიანობის ყოფა-ვითარებისა; ჩვენ ზოგიერთი საბუთი გვაქვს იმისა, რომ საქართველო საზოგადოდ კულტურულისა და განსაკუთრებით-კი სარწმუნოებრივის მხრით ფეხ-და-ფეხ მისდევდა ბიზანტიასა და რომს. რა მდგომარეობაში იყო ქრისტიანობა ამ სახელ-განთქმულ სახელმწიფოებში?

დრეპერს მოჰყავს შესაძრწუნებელი სურათი ეკკლესიის გამგეობისა და საერო ყოფა-ცხოვრებისა ბიზანტიასა და რომში, მეტადრე 757 წ. ვიდრე მე XI საუკ. ნახევრამდე-მტრობა, სიძულილი, მტაცობა, მოქრთამეობა, გარყვნილება გავრცელებული იყო არა თუ მარტო დიდებულთა შორის, არამედ მეფეთა და ეკკლესიის მოსამსახურეთა შორისაც. მონობა და ყმობა გაძლიერდა, იტალიაში და ზოგიერთგან სხვაგან მთელი ქვეყნები რამდენმამე კაცმა დაისაკუთრა. აქა-იქ თითო კაცი შეიქმნა ბატონი და მფლობელი 20,000 ყმისა.

ზნეობა იმდენად დაეცა, რომ პაპის ტახტს განაგებდნენ გარყვნილი დედაკაცები, რომელნიც ამ წმინდა ტახტს თავიანთ საყვარლებსა და უკანონო შვილებს აკუთვნებდნენ და 1014 წლიდგან-კი ჰყიდნენ მას ფულზედ. თვით ქებულის იმპერატორის კარლოს დიდის (გარდაიცვალა 814 წ.) ცხოვრება „გარყვნილებით და ბოროტმოქმედებით სავსე იყო“. მას ჰყვანდა ცხრა მეუღლე და მრავალი მხევალნი, ასე რომ იმისი სასახლე მოგაგონებდათ ხალიფათა ჰარამხანას. მას ჰსურდა შეერთო ბიზანტიის იმპერიის დედოფალი ირინე, რომელმაც საკუთარს შვილს გამოსთხარა თვალები კონსტანტინეპოლში. ზნეობა ისე დაეცა, რომ ბიზანტიისა და რომის სახელმწიფოებში საყოველთაო შეიქმნა რწმენა ქვეყნის აღსასრულისა და მეორედ მოსვლისა 1000 წელს ქრ. შემდეგ. 757 წლიდამ დრეპერს მოჰყავს ისეთი მაგალითები პაპთა ცხოვრებიდამ, რომ მკითხველს თმა ყალხზე დაუდგება. კვლა-ხოცვა პაპთა, დამწყვდევა მათი, ცემა-ტყეპა, მოწამლვით წუთის-სოფლის გამოსალმება წმინდა მამებისა ჩვეულებრივ საქმედ შეიქმნა. ამას ხელს უწყობდა, როგორც ვსთქვით, წმ. მამების გარყვნილება, მოქრთამეობა და სხ. ეს გარყვნილება იმ ზომამდე ავიდა, რომ 1033 წელს უწმინდესი ტახტი დაიჭირა ბენედიქტე მე-IX-მ, 14 წლის ყმაწვილმა. ბენედიქტის ერთმა მოადგილე პაპთაგანმა—ვიქტორმა „გამოაცხადა, რომ ჩემი ცხოვრება ისეთი გაჭუჭყიანებულია, რომ მე თითონაც ვერ ავწეროო“. მისი გამგეობა უფრო ჰგვანდა მეკობრეთა გამგეობას, მინამ მღვდელ-მთავრის წინამძღოლობას ბოლოს მისი უზნეობა ველარ აიტანა ხალხმა და აეშალა. ვიქტორმა პაპის ტახტი საჯარო საფასეში ჩააგდო (аукціонъ.) იგი ტახტი იყიდა მღვდელმა გრიგორიმ, რომელიც პაპის ტახტზე დამკვიდრდა 1045 წელს. ამ კაციდგან იწყება ახალი ხანა პაპთა და ქრისტიანეთა ცხოვრებისა[3]). ამავე საგანზე უფრო შესაძრწუნებელი ცნობები მოჰყავს კოლბს თავის „კაცობრიობის კულტურაში“.

ამ გვარს ყოფას ქრისტიანებისას რომსა და ბიზანტიაში არ შეეძლო საქართველოს ქრისტიანებზედაც თავისი გავლენა არ ექონია, მით უმეტეს, რომ საქართველო ბიზანტიის შემწეობით ფრიად დაახლოვებულ იყო დასავლეთის ქრისტიანობასთან. ქართველთ მეფენი ჰმძახლობდნენ ბიზანტიის იმპერატორებს, ქართველთ მხედრობა ხშირად ჰშველიდა ამ ქვეყანას, ქართველთ დიდებულნი, როგორც მოგვითხრობენ ბიზანტიისავე მწერალნი, ჰმსახურებდნენ ბიზანტიის ჯარში და ხშირად განაგებდნენ მათსავე საპრეფექტოებს. მაგ., ბაკურიძე, ჯოჯიკი და სხ. თვით ჩვენი ეკკლესიის გამგეობაც ისე მოეწყო, როგორათაც რომსა და ბიზანტიას. ჩვენშიაც, როგორადაც ბიზანტიაში, ეპისკოპოსნი იწოდებოდნენ ქალაქების ეპისკოპოსებად, ვითარცა: ურბნელი, მანგლელი, ქუთათელი და სხ. და არა მაზრების ეპისკოპოსებად, როგორც გერმანიაში[4]) და სხ.

ამას შემდეგ საკვირველიც არ არის, რომ ჩვენის ეკკლესიის წარმომადგენლებშიაც ერივნენ თითო-ოროლა არა ღირსებით სამღვდელო ხარისხის შემძენელნი და სხ. აქ ღირს-სახსოვარი ის არის, რომ რა წამს გრიგორი დიდმა რომში ბოლო მოუღო ყოველგვარ ბოროტ-მოქმედებას მე-XI საუკუნის დასასრულს, ჩვენშიაც დაუყოვნებლად მეფე და სამღვდელოება შეკრბა და აღმოფხვრა ყოველი უწესოება ქრისტიანეთა ცხოვრებაში იმავე დროს 1103 წელს.

შესამჩნევია აგრეთვე ჩვენის მართლიერების ის მხარე, რომელიც შეეხება უცხო გვართ, უცხო ტომის ხალხთ. ჩვენი ისტორიული ცხოვრება, ჩვენი შინაური მართლიერება განურჩევლად გვარ-ტომობისა და სჯულისა ჰმფარველობს ყველას, ვინც უნდა იყოს იგი: სომეხი, თუ მაჰმადიანი, ურია, თუ ფრანგი. ამიტომაც მრავალი სომხობა, სომხეთის განადგურების შემდეგ (მე-IX საუკუნიდგან მეტადრე), შემოვიდა საქართველოში და აქ ჰპოვა მყუდრო ბინა. მათ ქართველობამ დაუთმო თვისი ტაძარნიცკი, მაგ., ბეთანიისა და სხ. ამ გვარადვე ქართველნი მოექცნენ ბერძნებს, რომელნიც კონსტანტინოპოლის დარღვევის შემდეგ (1451 წლიდამ) გადმოსახლდნენ საქართველოში და დასახლდნენ სხვა-და სხვა კუთხეში, მეტადრე-კი ალგეთისა და ხრამდებედას ხეობაში. აქ მათ მიეციათ მზამზარეულად ჩვენთა მამა-პაპათაგან აგებულნი ტაძარ-მონასტერნი. აქვე დაწესდა მათთვის საკუთარი საეპისკოპოსო სოფ. ახტალას. ამავე მიზეზით ჩვენში მოიკიდა ფეხი ფრანგობამ. ჩვენმა მართლიერებამა და სარწმუნოებამ არ იცოდა გარჩევა სჯულისა. ყველას თვისის სინიდისისამებრ შეეძლო ეღიარებინა ის სჯული, რომელიც უკეთესად მიაჩნდა; ხოლო იმ პირობით-კი, რომ საქართველოს მართლ-მადიდებლობისთვის არა ევნო-რა. პირ-იქით, ამ გვარ პირებს კიდეც ჰმფარველობდნენ ქართველნი. ერეკლე II 1781 წ. 29 მაისს სწერს წერილს სომხეთ პატრიარქს იერუსალიმში და, სხვათა შორის, ჰპირდება, რომ „გამოგვიცხადეთ, რომელიც ჩვენ მიერი სარგებელ ყოფა სახმარ გემქნასთ“ და ჩვენ მზათა ვართ შევასრულოთო. ამ ნაირისავე თავისუფლებით საქართველოში სტკბებოდნენ ურიანი. ასეთი შეწყნარება სხვათა სჯულისა და გვარ-ტომობისა, ასეთი კაცთ-მოყვარება ძველს საქართველოში, ჩვენის აზრით, დიდის ყურადღების ღირსია და, ვინც ჩაუკვირდება, თუნდა მარტო ამ ერთს გარემოებას, უეჭველს საბუთს ჰპოვებს ერის წარმატებულობისასა და კულტურისას...

ესომ

[3]) იხ. Истор. умст. развит. Европы, გვ. 267—315, ტ. I, დრეპერისა.

[4]) იხ. Сравнительная политика, ფრიმანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი ახლად დაბადებული ყმაწვილი ვაჟი და ეს ყმაწვილი ტფილისის მოქალაქემ მოსეს პოლოსოვმა აიყვანა აღსაზრდელად.

*** 17 თებერვალს მე-8 ნაწილში არშაკ ნალბანდოვის სახლის მოაჯრიდგან მოიპარეს შვიდ თუმნიანი ხალიჩა. პოლიციელებმა ეს ხალიჩა უპოვნეს ავლაბრელ ჩარჩს გ. დ—ს.

## ქალაქის საბჭო.

20 თებერვალი.

საქმეთა შორის, რომელნიც განიხილა საბჭომ, საყურადღებო იყო სამი საგანი. პირველი შეეხებოდა ახალს სახელმწიფო ხარჯს უძრავ ქონებისას. მოადგილემ ქალაქის თავისამ განუმარტა საბჭოს ვითარება ამ საქმისა: ხელმწიფე იმპერატორმა ეს ხარჯი დაამტკიცა 1887 წელს. თითქმის ორმა წელმა გასტანა, ვიდრე მთავრობა შეადგენდა სათანადო წესდებას ამის თაობაზე და წელს გაიცა ბძანება, რომ ვინც მოხარჯეა, ფული უნდა გადაიხადოს თავის ქონებაზე არა წრევანდლიდამ, არამედ იმ წლიდამ, როდესაც უმაღლესად მიღებული იყო ხსენებული ხარჯი, ე. ი. 1887 წლიდამ. ამის გამო ქალაქის საბჭომ სთხოვა მთავრობას, რომ წარსულ წლების ხარჯი ეპატიოს ტფილისის მოქალაქეთაო. ადგილობრივმა მთავრობამ არ შეიწყნარა ეს თხოვნა და ქაღალდი გაგზავნეთ პეტერბურგში. ეხლა ბ-ნი ქალაქის თავი წერილით მატყობინებსო, რომ ყოვლად შეუძლებელია საბჭოს თხოვნის შეწყნარება, მაგრამ მოსახსენებელიკია, რომ წარსულ წლების ფული ერთბაშად არ მოგვთხოვონ და რამდენსამე წელს გაგვიწერონო. ჩვენის ქალაქის უმთავრესი შემოსავალი არის დასაფასებელი ხარჯი უძრავ ქონებათა. ეს საგანი წელიწადში გვაძლევს თითქმის 250,000 მანათს, რაც გინდ ბევრს ეცადნენ ქალაქის მოხარჯენი, ამაზე მეტს ვერ მოჰკრეფენ, რადგან მოქალაქეებს მეტი არ შეუძლიანთ. ეხლა თუ ეგ სახელმწიფო ხარჯიც ერთბაშად მოსთხოვეს სამის წლისა, უეჭველია, რომ დასაფასებელი გადასახადი იკლებს. სამის წლის ხარჯი იზამს თითქმის 90,000 მანათს. ეგ ფული რომ გადიხადოს ქალაქმა, აუცილებლივ 35—40 ათასამდე მანათი დეფიციტი მოგვივა წელს მარტო დაფასებისა. საბჭომ კარგად იცის, რამდენადაც ძნელია ჩვენთვის კიდევ ახალი დეფიციტი და ამიტომ უნდა ვითხოვოთ, რომ ეგ ხარჯი ერთბაშად არ მოგვთხოვონ, არამედ გაგვინაწილონ რამდენისამე წლითაო.

ქოჩორიანცი. ჯერ ხომ არ გამოუცხადებია მთავრობას უარი, რა გვეჩქარება. როცა გვეტყვის—არ გაპატიებთო, მაშინ ვთხოვოთ ეგ განაწილება.

მოადგილე ქალაქის თავისა. საქმეც მაგაშია, რომ თუ არ ავჩქარდით, მერე განაწილებასაც ველარ ვითხოვთ — ეგ საქმე 15 აპრილს უნდა გადასწყვიტოს სამინისტრომ საბოლოვოდ.

საბჭომ დაადგინა — მიენდოს ეს საქმე ქალაქის თავს, რომელიც ეხლა პეტერბურგშია, რომ პირად იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, როგორც სასარგებლოდ დაინახავს თვით ქალაქის თავი.

მეორე საგანი საბჭოს თათბირისა იყო თხოვნა ტფილისის გამოფენის კომიტეტისა. კომიტეტი თხოულობს, რომ ქალაქმა თავისი წყალი გაიყვანოს გამოფენის ადგილამდე და მუქთად დაუთმოს ეს წყალი, ვიდრე გამოფენა გათავდებოდეს. გასაადვილებლად ამ საქმისა კომიტეტი თითონ კისრულობს იმ ხარჯს, რომელიც მოუნდება მიწის გათხრასა და მუშაობას.

მოადგილე ქალაქის თავისა. ჩვენ ამ მოკლე ხანში მაინც დაგვჭირდება იმ ადგილას გაყვანა მილის წყლის შტოსი, რადგან აკლიმატიზაციის ბაღი გვთხოვს წყალს და წელიწადში ას ოც თუმნამდე იძლევა. თუ-კი მუშაობას თვით კომიტეტი ჰკისრულობს, ჩვენთვის ძრიელ ადვილია ამ თხოვნის აღსრულება.

საბჭომ იკისრა ამ ახალ შტოს გაყვანა და ამასთანავე დაადგინა, რომ მუქთად აძლიოს წყალი გამოფენას.

უფრო საყურადღებო იყო მესამე საგანი შესახებ ტფილისის სანიტარულ მოწყობილობისა. სარჩიელი ამ საგნისა, როგორც მკითხველებმა იციან, ეკუთვნის ბ-ნ კალოუბნელს, რომელმაც სიტყვით უამბო საბჭოს ვრცლად და დიდის ცოდნობით შინაარსი თავისის სარჩიელისა. მოკლედ მოვიყვანთ აზრს ბ-ნ კალოუბნელისას. თუმცა სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ დიდი გაბედულობა არ იქნება ვსთქვა, რომ ქალაქის უსუფთაობას მავნე ზედმოქმედება აქვს მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე. ასტყდება რამ ეპიდემია თუ არა, მაშინათვე საშინელს მუსრს აადენს ტფილისელებს და ნამეტნავად ბავშვებს. გეცოდინებათ, როგორ გაჟლიტა ჩვენი ყმაწვილები წინა წლებში და ნამეტნავად ამ ზამთარს, როდესაც ზოგმა ოჯახობამ ზედი-ზედ დაჰკარგა ორი-სამი და მეტი ბავშვი. მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ არც ჩვენი საქალაქო ექიმები და არც სამოქალაქო თვით-მმართველობა ყურს არ იბერტყდნენ, რომ რაიმე საგრძნობელი დახმარება აღმოეჩინათ ან ავადმყოფებისათვის, ან ეპიდემიებთან ბრძოლისათვის. ექიმები იმითი იმართლებენ თავს, რომ ბევრი საქმე გვაქვსო, ბევრგან ვმსახურობთო, მოცალება არა გვაქვსო. თვით-მმართველობა მაშინათვე უფულობას წამოგიყენებთ. ამ სახით, ტფილისის სანიტარული მოწყობილება ერთსა და იმავე საძაგელს ყოფაშია. ხსნა ამ უბედურებისაგან შესაძლოა, თუ-კი ცოტაოდენს მსხვერპლს ვიკისრებთ და შემოვიღებთ სახლზე ორ მანათს გადასახადს. ტფილისში 7,000 სახლია ისეთი, რომელიც ხარჯს იხდის დაფასებისას. მარტო ამისთანა შენობებს რომ შევაწეროთ გადასახადი, შეგვიდგება 14,000 მანათი. ეს ფული სრულებით საკმარისია, რომ სანიტარულ მოწყობილობით ტფილისი დავადაროთ საუკეთესო ქალაქებს ევროპისას.

ქოჩორიანცი. ტყუილად უსაყვედურებს ხმოსანი კალოუბნელი ტფილისის ექიმებს, რომ ხმას არ იღებენ ქალაქის ჯანმრთელობაზეო. სხვებსაც და თვით მეც ბევრი გვილაპარაკნია, კიდეც გვიწერია, მაგრამ ჩვენი ხმა დარჩენილა ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა. აგრეთვე შემცდარია ხმოსანი, ვითომც აგრე ადვილი იყოს სანიტარული მოწყობილობა ამოდენა ქალაქისა. მარტო ქუჩებისა და ეზოების სისუფთავე რომ შესაძლოც იყოს, როდი კმარა, რომ სანიტარულად გაუმჯობესდეს ქალაქი. უმთავრესად საჭიროა, რომ ტფილისსა ჰქონდეს ჯეროვანი კანალიზაცია მიწაში და ქალაქის უსუფთაობა არ იყრებოდეს ორმოებში. აი ამ ორმოებიდამ ფუჭდება ჰაერი ტფილისისა და გარეგანი სისუფთავე ბევრს ვერას უშველის.

გლაჰაცკი. სანიტარულ გაუმჯობესებას ტფილისისას მაგრე ადვილად არ მოევლება, როგორცა ჰფიქრობს ხმ. კალოუბნელი. თვით ეს საქმეც უნდა იკისრონ მცოდნე კაცებმა. ამასთანავე ტფილისის ყოფა არც ისე უიმედოა, რომ სასოწარკვეთილებაში მოგვიყვანოს. სტატისტიკურად რომ შეადაროთ, თუ ათასზე რამდენი კაცი კვდება წელიწადში სხვაგან და ჩვენს ქალაქში, ჰნახავთ, რომ ტფილისი თითქმის რუსეთის ყველა ქალაქებზე უკეთესს მდგომარეობაშია და არ ჩამოუვარდება ევროპის შუათანა ქალაქებს. თუ ეპიდემიებს იტყვით, თვით საუკეთესო ქალაქებსაც ეწვევა ხოლმე სხვა და-სხვა ჭირი და არც ნაკლებ ავლებს იქ მუსრს, ვიდრე ჩვენს ქალაქს. ეპიდემიები როდია პირდაპირი შედეგი სანიტარულის მოწყობილობისა.

მასჰპელი. მე სრულიად ვეთანხმები ხმ. კალოუბნელს, რომ აუცილებლად საჭიროა სანიტარული გაუმჯობესება ტფილისისა, მაგრამ არ შემიძლიან არ ვუსაყვედურო ხმოსანს, რომ ასეთი მძიმე საქმე უკისრნია და ის-კი დაჰვიწყებია, რომ განეხილა და შეესწავლა, თუ რა ღონის-ძიებას ხმარობს ქალაქის გამგეობა ამ საგანზე და ან როგორ ეკიდება იმ მცირეოდენს ხარჯს, რომელიც საბჭომ გადასდო ტფილისის სისუფთავეზე. მაგალითად, წელიწადში გადადებულია ქუჩების წმენდისთვის 35 ათასი მანათი, ეს ძალიან და ძალიან ცოტაა ამოდენა ქალაქისთვის მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ თვით ეს მცირეოდენი ფულიც-კი არა ჰხმარდება ამ ფრიად საჭირო საგანს, ოთხას ორმოცდა-ათ თუმანზე მეტი ამ ფულიდამ გამგეობას დაუხარჯავს სრულებით სხვა საგანზე. თვით ქუჩების წმენდაშიაც იმდენი ფული მიდის უსარგებლოდ, რომ ძირში რჩება მხოლოდ 25 ათასი მანათი, რომელიც მართლა სისუფთავეს ჰხმარდება. მუშათა ზედამხედველებს ეძლევათ ჯამაგირი ორმოც-ორმოც თუმანზე მეტი, მერე გოტგარდტს აძლევენ 300 მანათს ფაიტონის ხარჯს, როდესაც საბჭოს ამ საგანზე გროშიც არ დაუნიშნავს, და სხვანი. ამისთვის უნდა მიექცია დიდი ყურადღება ხმოსან კალოუბნელს. ქუჩების სისუფთავე უკეთესი იქნება ნაწილ-ნაწილ დავყოთ და მუშათა ამხანაგობას მივანდოთ ეს საქმე. გარდა ამისა მე ვითხოვ, რომ საბჭომ აუკრძალოს გამგეობას და ამ 35 ათას მანათიდამ სხვა საგნისთვის არა დაახარჯვინოს-რა.

მოადგილე ქალაქის თავისა. ერთობ შორს წავედით და საგანი ხელიდამ გვეკარგება. წინადადება კალოუბნელისა ყოვლად ჩინებულია და დიდის თანაგრძნობის ღირსიც. არც ესაყვედურება ქალაქის თვით-მმართველობას, ვითომც ამ საგანს ყურს არ ათხოვებდა სულაც არა. ეს საგანი ძრიელ ვრცელია და მრავალ მხრიანი, შეიცავს არა მარტო ქუჩებისა და ეზოების სისუფთავეს, არამედ წყლის სიკეთეს, თვით შენობებისა და სადგურების მოწყობილობას, კანალიზაციას, ჰაერის სიკეთეს და მრავალს სხვას. ყველა მაგას ჩვენ, რასაკვირველია, ვერ გავუძლევებოდით. მაგრამ ძნელი სათქმელია, ვითომც ჩვენ ხელიც არ გაგვენძრიოს ამისთვის. პირიქით, რაც-კი შეგვეძლო, ჩვენ კიდეც ვაკეთებდით. ქვა-კუთხედი სანიტარულის მოწყობილობისა არის წყლის გაყვანა ქუჩებში და ჩვენ აბა ამ საგნისთვის არა თუ დავზოგეთ რამ, პირ-იქით ძალიანაც ბევრი ვიღვაწეთ. გარდა ამისა შემოვიღეთ სავალდებულო წესდება შენობების გაკეთებისა და სხვანი. არც ეხლა დაიწევს ვინმე ჩვენგანი უკან. პირ-იქით, ჩემის აზრით, ძალიან ჩინებული აზრი მოჰსვლია ხმ. კალოუბნელს და ამ აზრის განსახორციელებლად საჭიროა მოვიწვიოთ ერთი ვინმე ცნობილი სანიტარი, დავუნიშნოთ კაი ჯამაგირი, რომ შეისწავლოს სანიტარული ყოფა ტფილისისა და შეგვიდგინოს სამეცნიერო პროექტი სანიტარულის მოწყობილობისა. შემდეგ ეს პროექტი გავაშინჯოთ მცოდნე კაცებს, საბჭომ მოსთხოვოს აზრი ამ საგანზე გამგეობას, ანახვინოს ღონის-ძიება პროექტის განხორციელებისა და წარუდგინოს საბჭოს.

რადგანაც ძრიელ დაგვიანდა, საბჭომ დახურა კრება და ეს საგანი შემდეგისთვის გადიდვა.

## უცხოეთი

იტალია. ფლოკეს სამინისტროს გზას გამოუდგა კრისპის სამინისტროც იტალიაში. დეპეშამ მოიტანა ამბავი, რომ კრისპიმ მიართვა მეფეს ქაღალდი სამსახურიდამ გადადგომისა თავის ამხანაგებითურთაო. მიზეზად დასახელებულია ის გარემოება, რომ ვითომ პარლამენტში ისეთი კამათობა ჩამოვარდა, რომლის გამო კენჭის ყრა სახელს გაუტეხს სახელმწიფოსა. რადგან არ მინდა საბაბი მე ვიყო სახელმწიფოს ასეთის დამცირებისა, ამიტომ ვამჯობინებ სამსახურიდამ გადავდგეო, მოუხსენებია მთავარ-მინისტრს მეფე ჰუმბერტოსათვის. მეფეს უბრძანებია სამინისტროსათვის, დროებით დარჩითო და პარლამენტის კრებანიც გადაუდვია. კრისპის საქმე რომ გაჭირებული იყო და ადრე თუ გვიან ასეთი ბოლო მოელოდა მის სამინისტროს, ამას გაზეთები წინდა-წინვე მოუთხრობდნენ მკითხველებს. იტალიიდამ მხოლოდ ის ამბები მოდიოდა, რომ ერი დიდს გაჭირებაშია ჩავარდნილი გამუდმებულის შეთოფ-იარაღების გამოვო. იტალიას ჰღუპავს ის ხელ-შეკრულობა, რომელიც გერმანიასა და ავსტრო-ვენგრიასთანა აქვსო. ამ ხელ-შეკრულობამ იტალია საფრანგეთის მტრად გახადა და ეს მტრობა იაფად არ დაუჯდებოდა ასეთს ღარიბსა და ჯერ ისევ ნორჩს სახელმწიფოს მდიდარისა და წარმატებულის ქვეყნისაო. მართლაცა-და ამ მტრობას მოჰყვა გაუქმება სავაჭრო ხელ-შეკრულობისა იტალიასა და საფრანგეთ შორის. ეს ხელ-შეკრულობა ძალიან სასარგებლო იყო იტალიისათვის და მისმა გაუქმებამ აურიცხველი ზარალი მისცა ამ ქვეყანასა და დიდი სიღარიბე ჩამოაგდო იტალიაში, მეტადრე მხვნელ-მთესველთა შორის, რომელთაც ველარსად გაიტანეს თავისი ნაწარმოები, რაკი საფრანგეთში ბაჟი დაადეს ყველაფერს, რაც იტალიიდამ იქ უნდა მიტანილიყო. სიღარიბემ დაჰბადა იტალიაში უსაქმურობა და დიდ-ძალი მუშა ხალხი დარჩა ულუკმა-პუროდ. ერმა ყველა ეს უბედურება მიაწერა კრისპის სამინისტროს და დაუწყო ბრძოლა მის პოლიტიკას, თუ საკოლონიოსა და თუ თოფ-იარაღის მზადებისას გერმანიის გულის-მოსაგებად. ბოლოს ხომ მოთმინებიდამ გამოსულმა მშიერ-მწყურვალმა მუშა ხალხმა უწესოებაც მოახდინა. ესეც კრისპის დაჰბრალდა და თუმცა ამ თებერვლის დამდეგს კენჭის ყრამ პარლამენტში გამარჯვება კრისპის მიანიჭა, მაგრამ არა დიდის ხნით. რაკი ოპოზიცია კრიჭაში ჩაუდგა მთავარ მინისტრს, აღარ მოისვენა, ვიდრე თავისი არ გაიტანა.

გერმანია. ბისმარკი, როგორც ამბობს ერთი ახლად დაბეჭდილი წიგნი პარიჟში, სულ ისეთი წარბ-შეჭმუხვნილი და დაღვრემილი არა ყოფილა, როგორც ეხლაა. ახალგაზდობაში ბისმარკსაც ჰყვარებია ქეიფი, ლხინი, ხუმრობა, სცოდნია ამხანაგობა, გატაცება. ამ წიგნში დაწვრილებით არის მოთხრობილი ბისმარკის ყმაწვილობა, სტუდენტობა, ცოლშვილიანობა და სახელმწიფო მოღვაწეობა. აი როგორ დაუწერია ჯვარი ბისმარკს: მოსწონებია ფონ-პუტკამერისქალი და პირდაპირ შეუთვლია მამისათვის შენი ქალი მომათხოვეო. ქალის დედმამა სასტიკად დარჩენილან ასეთის უეცარის ამბის გამო, მაგრამ რაკი ქალს უთქვამს, რომ მომწონს საქმროვო, მიუწვევიათ ბისმარკი მოსალაპარაკებლად. ბისმარკი მისულა და ფონ-პუტკამერის სახლობას დიდის ამბით მიუღიათ თავიანთი სასიძო კაცი. შესულა თუ არა ბისმარკი სიმამრის სახლში, გადაჰხვევია თავისს საცოლეს და დაუკოცნია: აი ესეც ნიშანი მიმიცია, ეხლა შამპანიის ღვინო-და უნდა გადავკრათო. ასევე უეცრად გადაჰხვევია ბისმარკი და გადაუკოცნია თავისი ცოლი 1885 წელსაც, როცა თავისს 70 წლის იუბილეის ჰდღესასწაულობდა. სდგას თურმე მოხუცი ბისმარკი თავისის ცოლით და ისმენს დეპუტაციების ქება-დიდებასა. ერთმა დეპუტატმა უქო მეუღლე: თქვენი მეუღლე სწორედ იდეალია გერმანელის დედაკაცისაო, ერთგული მეუღლეა, სამაგალითო დედაა და დიასახლისიო. ბისმარკმა ველარ მოითმინა, გადაეხვია და ამ დეპუტაციების თვალ-წინ დაჰკოცნა თავისი ცოლი.

ბისმარკი დიდი შრომის-მოყვარე კაცია. ღამის ორს საათზე იძინებს და დილის 10 საათზედ დგება. თანამშრომლებად ჰყავს, თავის შვილს ჰერბერტ ბისმარკს გარდა, თავისი სიძე რანცაუ და თავისი ქალი, მეუღლე რანცაუსი. ჩემი ქალიო, ამბობს თურმე ბისმარკი, ათს მოხელეს აჯობებს გარეშე საქმეთა სამინისტროსას, ისე კარგად იცის წაკითხვა სადიპლომატო დეპეშებისა, რომელიც საზოგადოდ უცნაურის ასოებით იწერება. ბისმარკი თავისს შვილსაც ძალიან აქებს: დიდი შრომის მოყვარეაო. მე რომ ახალგაზდობაში აგრე მეშრომნა, ამაზე მეტი ვიქმნებოდიო. ერთი კაცმა ჰკითხოს, რაც არის, იმაზე მეტი რაღა უნდა ყოფილიყო!

ერთხელ ბისმარკს მკურნალი მოუყვანეს, სახელოვანი შვენინგერი. მკურნალმა დაიწყო გამოკითხვა ავადმყოფობისა. ამ გამოკითხვამ დიდხანს გასტანა. ბისმარკს მოთმინება დაეკარგა და ჯავრობა დაუწყო ცოტა არ იყოს უზრდელს მკურნალს:

— რა დაგემართა, აღარ გაათავებ მაგ შენ გამოკითხვასაო?

— რატომ არ გავათავებ, თუ-კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნებავთ, თქვენო ბრწყინვალებავ. მაგრამ ამას-კი მოგახსენებთ, რომ თუ მორჩენა გინდათ, ისე, რომ მკურნალს პასუხი არ აძლიოთ, მიჰმართეთ ზეითალსაო. ზეითალი ისეთი მკურნალია, რომელიც გამოუკითხავად არჩენს თავისს ავადმყოფებსაო.

ბისმარკი შეჰტა, ისე გაბრაზდა ასეთის კადნიერებით, მაგრამ მკურნალმა წარბიც არ შეიხარა და ბისმარკი დამშვიდდა.

— კარგი, კარგიო, უთხრა ბისმარკმა. მკითხე რაც გინდა, მხოლოდ ჩქარა-კი გაათავე. იმედი მაქვს შენი ნიჭი მკურნალობისა იმდენადვე შესანიშნავი იქნება, რამდენადაც შესანიშნავი შენი კადნიერი და უზრდელი ქცევა.

ბისმარკს, თუ კარგს გუნებაზეა, ხუმრობაც ჰყვარებია. ერთხელ შეუსწრია თავის შინა მოსამსახურესათვის, რომ იმის ჭიქიდამ სვამს ღვინოს.

— ფრიდრიხ, გეტყობა ძრიელ მოგწონებია ჩემი ჭიქა. მიჩუქებია შენთვის ეგა და მე-კი ახლა სხვა მომიტანე, ძრიელ მწყურიანო.

ერთხელ ბერლინიდამ მოდის თავის მამულში ბისმარკი, გზაზე ხარაზის დუქანში შეუხვია და დაუწყო ხარაზობაზე ლაპარაკი. ხარაზმა იფიქრა, უთუოდ ესეც ხარაზიაო და უთხრა:

— ბერლინში მგონია დიდი მოგება გაქვთ. ჰაი თუ ქეიფობთო.

— ჰო, კარგი მოგება მაქვს, ხეირია იქ ხარაზობაო.

ამ დროს მოეწია ბისმარკს მისი ამალაც და საცოდავი ხარაზი მხოლოდ მაშინ მიხვდა, ვინ იყო ის კაცი, რომელიც იმას ხარაზი ეგონა.

## წვრილი ამბები

პარიჟის მსოფლიო გამოფენასთან ერთად უნდა გაჰმართონ აგრეთვე მშვენიერთა და ლამაზთა ქალთა გამოფენაც და ამ პაწია გამოფენის პროექტს უკვე ადგენს თურმე განსაკუთრებით ამ საქმისათვის დანიშნული კომიტეტი. მარტის პირველ რიცხვებში კომიტეტი პირობებს დასწერს თურმე ლამაზთა ქალთა გაჯიბრისას და ამ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვევს მკითხველ ქალებს მთელის ქვეყნის ყველა გაზეთისას. ეს გაჯიბრება სხვათა ამ გვართა გაჯიბრთაგან იმითი განირჩევა, სხვათა შორის, რომ სილამაზეს ქალებისას დააფასებს არა ნაფიცთა კომისია, არამედ საერთო ხმის მოკრებით იქნება დაფასებული. თითოეულს მნახველს მსოფლიო გამოფენისას შესასვლელ ბილეთთან ერთად ეძლევა აგრეთვე ხმა მშვენიერთა ქალთა ჯიბრის გადასაწყვეტად. კომიტეტს სურს ერთ-გვარი ტანისამოსი გამოიგონოს და ყველას ისე ჩააცვას, მაგრამ ეს ცოტა მოუხერხებლად მიაჩნია ბევრს, რადგან ყველა ნაირი ტანისამოსი არ უხდება ზოგიერთს ქალს, ისეთი სილამაზე აქვსო, მით უმეტეს, რომ ამ ჯიბრში მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე ზანგის ქალთა, ინდოელებმა და მალაის ტომის ქალებმა. პირველ საჩუქრად დანიშნულია 15,000 მან., ორი მეორე საჩუქარი — თითო 1000 მან. და ექვსი მესამე — თითო 500 მანათიანი. კომიტეტი ეხლავე ღებულობს თხოვნას იმ ქალთა, რომელთაც ჯიბრში ჩარევა სურთ. აი ზემოხსენებულ კომიტეტის მდივნის ე. კორპელიეს ადრესი: პარიჟს, 247, სენტ-ონორეს ქუჩაზედ.

— ტურინშიაც ჰქონდათ ამას წინად ჯიბრი ლამაზთა და მშვენიერთა ქალთა. ეხლა ფიქრად მოსვლიათ გაჰმართონ ჯიბრი მახინჯთა და დუხჭირთა ქალთა. ვინც სიდუხჭირეში ყველაზედ მეტად თავს გამოიჩენს, იმას 5,000 მან. მისცემენ ჯილდოდ და ამასთანავე იმისი სურათი დაიბეჭდება სამხატვრო ჟურნალებში. ძნელად თუ ამ ჯიბრში მონაწილეობას მოისურვებს ვინმე.

— პროფესორმა ედგარდ გულბომ, ახალგაზრდა უსინათლოთა მასწავლებელმა და „Valentin Haüg“-ის დამცველმა, გამოსცა ამას წინად ერთი წიგნი უსინათლოთა შესახებ, ამ წიგნში მოთხრობილია ცხოვრება ფილანტროპის ვალენტინა გაიუსი, უსინათლოთა კეთილის-მყოფელისა, და აგრეთვე აწერს უსინათლოთა დაწესებულებათა. ევროპაში 300,000 უსინათლოა; აფრიკის ზოგიერთს ადგილებში, სუდანში, უსინათლონი ბრბოობით დადიან, ალჟირში 1,366 უსინათლო ყმაწვილია და 5,330 — ვაჟკაცი. საფრანგეთში 1883 წ. 32,056 უსინათლო იყო ორისავე სქესისა და ამათში 2,548 ისეთი ერია, რომელთაც 21 წელი ჯერ არ შესრულებოდათ. დანარჩენთაგან 100 კაცი სწავლობს 23 სპეციალურს სასწავლებელში, მთავრობისა, ქალაქთა, დეპარტამენტთა და სასულიერო საზოგადოებათა მიერ დაარსებულში. პარიჟში უსინათლოთათვის ყველაზედ საუკეთესო სასწავლებელი უსინათლოთა ინსტიტუტია. ამ ინსტიტუტს 1843 წლიდგან მშვენიერი ადგილი უჭირავს ინვალიდთა ბულვარზე. ამ სასწავლებელში 150 ყმაწვილი კაცია და 50 ქალი. პროფესორთა შორის 30 კაცი უსინათლოა. ამ სასწავლებელთანავე არის სტამბა და ამ სტამბაში 1852 წლიდგან აქამომდე 58,000 წიგნი აწყობილა და დაბეჭდილა. იქვე არის უდის სახელოსნო, რომელშიაც მხოლოდ უსინათლონი ჰმუშაობენ.

— ჩვენის გაზეთის მკითხველი ქალი ძნელად წარმოიდგენს, თუ რამოდენს თმა ივარცხნის ყოველ დღე და მგონი თავისის თმის რიცხვს სიამოვნებით ამოიკითხავს. აი ერთს უსაქმურს ინგლისელს ხანგრძლივის თვალ-ყურის დევნის შემდეგ გამოუანგარიშნია, რომ ბაცქერა თმიან ქალს 140,000 ბეწვი აქვს თავზედ, წაბლის ფერ თმიანს — 109,000 ბეწვი, შავგრემანს — 102,000, მუქ-ქერა თმიანს — 88,000. ამ რიცხვიდგან ის-კი არ იფიქრონ, ვითომ მუქ-ქერა თმიანებს თავის ქალას ნახევარი უთმო ჰქონდეთ, სულაც არა, ზოგს თავზედ ცოტა ბეწვი იმიტომ აქვს, რომ სქელ-თმიანია და სისქე ბეწვისა ფერზედ არის დამოკიდებული.

პეტერბურგის ბირჟა, 17 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 39 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $148\frac{3}{4}$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 274 |
| — მეორისა . . . . . | — „ | — „ | $252\frac{1}{2}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | $97\frac{3}{4}$ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 97³/[illegible] |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | 83 | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენი (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი — უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია — 6.

თებერვალი 28 დღით არის.

22 დღე ოთხშაბათი. პოვნა წმ. ნაწილთა მოწამეთა, რომელნი ევგენიასა შინა იყვნენ. კათოლ. წმ. პეტრესი. მაჰმად. მე 4 რიცხვი თთვისა რეჯებისა, 1306 წ. ჰიჯრისა. რაჰაბის ღამე. — ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 6—26, ჩადის 5—57. მთვარე 5 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | $3\frac{1}{2}$ „ |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 4 „ |
| „ „ 3 „ | $3\frac{1}{2}$ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 „ |
| მე-3 — . . . | „ „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 „ |
| „ 2 „ | 8 „ |
| სუკი . . . | 16 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 „ |
| ღორის ხორცი . . . | 10 „ |
| „ 2 „ | 9 „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსაურულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

ქ. ოზურგეთში

თებერვლის ოციდგან გაიმართა

## წიგნის მაღაზია,

სადაც ისყიდება ყველა ქართული წიგნი, რუსულიც (სახელმძღვანელო წიგნები) და სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები. წიგნები ისყიდება იმ ფასად, რა ფასიც ზედ აწერია. მაღაზიაში აგრეთვე არის წიგნთ-საკითხავი.

3—2

საპონი

პროვიზორის

## ა. მ. ოსტროუმოვისა

თმის ჩაქოსვლისა და თავის ასაცილებლად.

სიყალბის ასაშორებლად, ნამდვილი საპონი ითხოვეთ, ისეთი, რომელსაც იარლიკზე უძევს მთავრობის მიერ დამტკიცებული მარკა

**№ 3374.**

ისყიდება თითო 30 კაპ. დიდი ნაჭერი ჰქლირს 50 კაპ. იშოვება აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში. საწყობი იმყოფება მოსკოვს, პოკროვკას, მაშკოვის შესახვევში, მერკულოვის სახლებში. (10—5)

ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების

## გამგეობა

აცნობებს თავისს წევრთ, რომ ამ წლის 19 მარტს, დილის 9 საათზე დანიშნულია საზოგადო კრება წევრთა ფოთის საბრანიის დარბაზში, სახლები დ. სმირნოვისა. კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1888 წლისა, ხარჯთ-აღრიცხვის სია 1889 წლისათვის, აირჩიოს ერთი დირექტორი გამგეობისა, რომელსაც ვადა შეუსრულდა დირექტორობისა, ორი დეპუტატი საბჭოსი, სამი წევრი სარევიზიო კომისიისა და სამიც ამათი კანდიდატი. კრებამ უნდა მოისმინოს აგრეთვე მოხსენება გამგეობის თავმჯდომარესი იმ უძრავის მამულის შესახებ, რომელიც საზოგადოების სახელობაზე იქმნა შეძენილი.

(3—1)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | „ | 50 |

სასტუმრო

## “კურ--ღვინო„

(გოლოვინის პროსპექტზე, თ. მუხრან-ბატონის სახლებში)

მთელის დიდ მარხვის განმავლობაში, სახსნილოს გარდა, გვექნება ყოველ გვარი საგანგებოდ მომზადებული გურული და აქაური სამარხვო საჭმელები.

(5—1)

ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ ვაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

Дов. ценз. Тифлисъ 21-го Февраля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე